№ 6
სამშაბათი, 9 იანვარი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6—
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8—	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 6
სამშაბათი, 9 იანვარი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

თავადი დავით ზაქარიას ძე ბარათაშვილი

გარდაიცვალა ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ ქ. ტფილისს, შაბათს, 6 იანვარს, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის მეუღლე კნ. იულია ივანეს ასული, რძალი კნ. ქეთევანი დიმიტრის ასული და შვილი ზაქარია დავითის ძე დებითურთ. პანაშვიდები ყოველ დღე: ნაშუადღევის 1 საათზე და საღამოს 8 საათზე. გარდაცვალებულის გვამის დაკრძალვის დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული.

(1—5—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 11 იანვარს, 1901 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ,

ბენეფისი
ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა

წარმოდგენილი იქნება

I
ბედნიერი დღე
კომედია 3 მოქ. ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა, თარგ. ვ. აბაშიძისა.

II
მე მინდა კნეინა გავხდე
კომედია 2 მოქ. თხზ. ზ. ანტონოვისა.

III
დივერტისმენტი
რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ:
თავ. ი. ბარათაშვილი, ბ-ნნი დ. თუმანსკი და ადამიძე.

მონაწილეობას მიიღებენ: გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, ბ-ნნი: აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

საქართველოს ისტორია

აკადემიკოსის ბროსსესი, ნაწილი მეორე,
ფასი 70 კაპ.

ნათარგმნი ს. ლოლობერიძისა, გამოცემული ნ. ლოლობერიძის მიერ. იქვე ისყიდება იმავე თხზულების პირველი ნაწილი, ფასი 70 კაპ.

(5—271—4)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. მძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

გ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Ворояцову.

საზოგადო კრება

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის

„შრომის“

დანიშნულია კვირას, 14 იანვარს, დილის 11 საათზედ, თავისს ქარხანაში.

განსახილველი საგნებია:

1) ანგარიშის განხილვა და დამტკიცება 1900 წლის მეორე ნახევრისა.
2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების ამორჩევა.
3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა და გამგეობისა.

(3—6.—1)

შაბათს, 6 იანვარს 1901 წ.
ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში
გამართულ იქნება

ბალი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის თანხის გასაძლიერებლად.

ბილეთი ღირს **2** მ. **10** კ.

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამხედრო კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი და დანარჩენთათვის ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან. (უ.)

ტფილისი, 9 იანვარი

ჩვენმა მოწოდებამ „ქართველ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების“ დაარსების შესახებ უნაყოფოდ არ ჩაიარა და წერილ თანამგრძნობლებთან ერთად, რომელთაც პირველის წერილის დაბეჭვდისათანავე სურვილი წევრობისა განაცხადეს და ფულიც გამოგზავნეს, დღეს გულუხვს შემოწირულებას ციმბირელი ქართველები და სომხები გვიგზავნიან. მაშასადამე, იმედია, „ქართველ სტუდენტთა მომავალს დამხმარებელს საზოგადოებას“ თანაგრძნობა არასოდეს არ მოაკლდება, თუ რომ ხელს ერთგულად მოვკიდებთ და ვეცდებით ამ სახელით საშუალებანი მოვიპოვოთ. აგერ მაგალითიც: ვლადივოსტოკისა და ხაბაროვსკის ქართველები, რომლებიც დიდი ხანია სამშობლოს მოწყვეტილები არიან, თანამოძმეთა გაჭირვებას თანაგრძნობით ეგებებიან და „ქართველ სტუდენტთა მომავალს დამხმარებელს საზოგადოებას“ 100 მან. სწირავენ. *) მართალია, ჩვენის გაჭირვებულ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, რომელთა რიცხვიც (იხ. „ივერია“ № 4—1901 წლ.) მარტო 5 უნივერსიტეტში 60 აღემატება, ეს შეწირულება მხოლოდ ცვარია ზღვაში, მაგრამ საერო და საზოგადო საქმე მხოლოდ ასეთის ცვარებისაგან შესდგება ხოლმე. პირ-იქით ციმბირელთა შეწირულებას გულუხვი დავარქვით და დავარქვით იმიტომ, რომ საზოგადოდ ქართველები მდიდრები არა ვართ. მაშასადამე, ჩვენი მცირედიც დიდის ალაგას უნდა ჩაითვალოს, თუ რომ იგი სულით და გულით შემოძღვნილია.

მაგრამ ეს მხოლოდ მაგალითია იმისა, თუ ჩვენ მიერ აღძრულს საგანს საზოგადოება რამდენად თანაუგრძნობს, რის იმედს გვაძლევს! დღეს, როდესაც სტატისტიკური ცნობები ჩვენის სტუდენტების გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ უკვე დაბეჭდილია (იხილე „ივერია“ № 4—1901 წლისა) და ყველას საშუალება ეძლევა დამოუკიდებლად გადაათვალიეროს იგი და თავისი აზრი შეადგინოს, თუ რამდენად მოწეულია საგანი სტუდენტების დახმარებისა, მხოლოდ ლაპარაკი და წერა ამ საგნის შესახებ და სხვაფრივ-კი უმოქმედობა საქმეს აღარ შეჰშვენის, უადგილოა. როგორც წინა წერილშიაც (იხ. „ივერია“ № 277 1900 წლ.) ვიწვევდი ქართველს საზოგადოებას, დროა შევიკრიბნეთ და გულდასმით მოვილაპარაკოთ, როგორ და რა უნდა ვიღონოთ, რომ ეს ყველასათვის სიმპატიური საგანი გავახორციელოთ, ვალი მზრუნველობისა მოსწავლე მომავალ თაობის წინაშე მოვიხადოთ. მაგრამ საჭიროა უთუოდ, რაც შეიძლება, მეტმა რიცხვმა საზოგადოებისამ ინებოს კრებაზედ დასწრება, საჭიროა თავისი აზრი ყველა ჩვენმა მოღვაწემ გამოსთქვას, რომ ამითი რთული საგანი როგორმე დროისა და მოთხოვნილების შესაფერად გარდასწყდეს. იმედია, ამისათვის კრებას ქართველ საზოგადოების ყველა წრის წარმომადგენელნი ბლომად დაესწრებიან და ყველანი თავისს დასაბუთებულს აზრს წარმოადგენენ.

ინ-ანი.

---

*) იხ. „წერილი რედაქციის მიმართ ციმბირიდგან“.

◆ ◆

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: ინფანტერიის გენერლობა—ალექსანდრეს სახელობის დაჭრილთა კომიტეტის წევრს ქავთარაძეს; გენერალ-ლეიტენანტობა: კავკასიის პირველ არმეის კორპუსის უფროსს თავ. ხიმშიაშვილს, და ივან-გოროდის ციხის კომენდანტს ყაზბეგს და კავკასიის ყაზახთა მეორე დივიზიის უფროსს თავ. ჯამბაკურ-ორბელიანს; პოლკოვნიკობა—ვარშავის სამხედრო ოლქის გამომძიებელს ჩიკვაიძეს; კაპიტნობა: ართვინის ოლქის უფროს შტაბს-კაპიტანს ჩიქოვანს, ტფილისის გუბერნიის საპოლიციო დარაჯის აფიცერს მანსურაძეს, ოზურგეთის მაზრის ლანჩხუთის ნაწილის ბოქაულს იოსელიანს, ტუფსის ნაწილის უფროსს წიკლაუროვს, შტაბს-კაპიტნობა: ჯარა-მუზახის ოლქის უფროსის თანამდ. აღმასრულებელს მანსვეტაშვილს, დაღესტნის ოლქის გუბერნატორის კანცელარიის ობერ-აფიცერს ჯომარჯიძეს, ქუთაისის მაზრის უფროსის თანამდ. აღმასრულებელს თავ. დადიშქელიანს, ქუთაისის მაზრის მე-3 განყოფილების მომრიგებელ შუამავლის თანამდ. აღმასრ. ჯაფარიძეს, ამიერ-კავკასიის საპოლიციო დარაჯის აფიცრებს, ტფილისის გუბერნიისა მესხიშვილს და ყვანიას; შტაბს-როტმისტრობა—გორის მაზრის უფროსის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმას. თავ. ჯანდიერს; როტმისტრობა—თავ. მელიქიშვილს; პორუჩიკობა: ამიერ-კავკასიის საპოლიციო დარაჯისა: ქუთაისის გუბერნიისა—თავ. მხეიძეს, ტფილისის გუბერნიისა—თავ. ერისთავს, და სენაკის მაზრის მე-2 განყ. მომრიგებელ შუამავლის თანამდ. აღმასრ. თავ. მხეიძეს და ვარშავის პოლიციის მოხელეს ბალანჩივაძეს.

ებოძათ: ბრილიანტის ნიშნები ორდენის წმ. ალექსანდრე ნეველისა—სახელმწიფო

საბჭოს წევრს, კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მართებელს, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯართა უფროს და კავკასიის ყაზახთა ჯარის ატამანს, იმპერატრიცა მარიამის სახელობის დაწესებულებათა პეტერბურგის სამზრუნველო საბჭოს საპატიო მზრუნველს, სენატორს, გენერალ-ადიუტანტს, ინფანტერიის გენერალს, თავად გრიგოლ სერგეის ძეს გოლიცინს; ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა—კავკასიის პირველ არმეის კორპუსის უფროსს გენერალ-ლეიტენანტს თავ. მიხეილ ამირეჯიბს; ორდენი წმ. ვლადიმირისა მე-2 ხარისხისა: მეხუთე კავალერიის დივიზიის უფროსს თავ. დ. ერისთავს, წმ. სტანისლავის პირველი ხარისხისა—მეცხრე დივიზიის მეორე ბრიგადის უფროსს თავ. ქავქავაძეს; ორდენი სტანისლავისა მეორე ხარისხისა—უმთავრესს შტაბის ობერ-აფიცერს თავ. კონს. წერეთელს; ორდენი ანნა მეორე ხარისხისა: განჯის ოლქის სასამართლოს წევრს—ვ. აბულაძეს და ერევნის ოლქის სასამართლოს წევრს თ. ვ. სოლ. მიქელაძეს; ორდენი წმ. ანნა მესამე ხარისხისა: ბათუმის ოლქის გონიის ნაწილის უფროსს კაპიტ. ივ. მახვილაძეს, ყარსის სამხედრო გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მინდობ. მოხელეს ლ. ნინიაშვილს, დაღესტნის ოლქის კურინის ნაწილის უფროსს გრ. ჯავრიშვილს, კავკასიის საინტენდანტო გამგეობის განყოფილების უფროსს დ. დაფქვიაშვილს, ტემრიუკის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს ი. ლომინაძეს, კუბის „სამოქ. სასწ. მასწ. ს. გამრეკელიშვილს, სტავროპოლის სამოქ. სასწ. მასწ. ი. ლადაზიძეს, ტფილისის პირველ განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს თავ. ალ. ქავქავაძეს; ორდენი წმ. სტანისლავისა მესამე ხარისხისა: ართვინის პოლიციის ბოქაულს—ვ. დეკანოზიშვილს, კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის სამიჯნო განყოფილების მიწის მზომლის თანაშემწეს—ნ. ლოლაძეს, ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის თარჯიმანს—მ. მელიქიძეს; ბათუმის ოლქის გონიის ნაწილის საქმის-მწარმოებელს ყ. კილივთარიას, ტფილ. საგუბერნიო სამმართველოს საქმის მწარმოებელს გიორგი ყიფიანს, სვანეთის ნაწილის ბოქაულის თანაშემწეს თავ. გარდაფხაძეს, ქუთაისის გუბერნატორის სამხედრო საქმეთა მინდობილობის მოგებელს ვ. ბარკალაიას, ახალბაიაზეთის მაზრის პოლიციის ბოქაულს ა. მელიქიშვილს, ქ. ყარსის პოლიციის აფიცრის თანამდ. აღმასრულებელს ბ. ზედგინიძეს, ყვირილის ორკლასიან სასწავლებლის ზედამხედველს ომან იოსელიანს, განჯის გიმნაზიის მასწავლებელს თავ. მიხ. თაქთაქიშვილს; ორდენი სტანისლავის მე-2 ხარისხისა—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეს ი. ბადრიშვილს.

ებოძათ: დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრს ივანე უთნელიშვილს და ვიტებსკის ოლქის სასამართლოს წევრს მიხეილ გეგიძეს; გუბერნსკი სეკრეტრობა—ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელეს იორამიშვილს, კოლეჟსკი ასესორობა—ტფილისის ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწეს შიუკაშვილს; კოლეჟსკი სეკრეტრობა—ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს მატარაძეს.

გამწესებულ იქმნა კონსტ. ჯაფარიძე—ბორჩალოს ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლად.

გადაყვანილ იქმნა კუბის მე-6 პლასტუნთა ბატალიონის სოტნიკი თავადი პ. გრუზინსკი პლასტუნთა პირველ ბატალიონში.

ახალი ამბავი

⁂ 6 იანვარს, საღამოს ექვს საათზედ, ტფილისში გარდაიცვალა ცნობილი მემამულე თავ. დავით ზაალის ძე ბარათაშვილი. განსვენებული დაიბადა 28 იანვარს 1842 წელსა. დედა მისი იყო ასული თავად გრიგოლ ჩოლოყაშვილისა, რომლის ოჯახი ჩვენში ყველასგან ბატონიშვილისად იწოდებოდა. ხოლო მამა მისი ზაალ ბარათაშვილი ცნობილი იყო ვითარცა უდიდესი და გამოჩენილი მემამულე ტფილისისა და ბორჩალოს მაზრებში. განსვენებულმა სწავლა ჯერ ტფილისის გიმნაზიაში დაასრულა, ხოლო შემდეგ გორიგორეთის ინსტიტუტში, საიდამაც, პოლონელთა აჯანყებისა შემდეგ 1863 წლებში, გადავიდა მოსკოვის უნივერსიტეტში. განსვენებული იყო იშვიათის ხასიათისა და მიმართულების კაცი. იყო მოყვარე თავისის ქვეყნისა და მასთან ქველმოქმედი. მისს უხვს შეწირულებას მიეწერება შესანიშნავის ბეთანიის მონასტრის აღდგენა და განახლება, რომელსაც მან შესწირა 70-მდე დესეტინა საუკეთესო მამული და მით შეძლება მისცა ათამდე ბერ-მონაზონს მონასტერში დასახლებულიყვნენ; ამას გარდა, სამასი თუმანი შესწირა ხონის საქალებო სასწავლებელს, ოცი თუმანი პოეტის ნ. ბარათაშვილის ძვლის აგებისათვის, რომლის ნეშტის გადმოტანაც განჯიდგან მისივე მეცადინეობით მოხდა და სხვ.

⁂ შაბათს, 6 იანვარს, ნათლისღება დღეს, ნიკოლოოზის სამხედრო საკრებულო ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე. 11 საათზედ აქ მობრძანდნენ სიონის საკრებულო ტაძრიდგან ეპისკოპოსი კირიონი ქალაქის სამღვდელოებითურთ და ალექსანდრე ნეველის სამხედრო საკრებულო ტაძრიდგან სამხედრო სამღვდელოება. წირვის შემდეგ ექსარხოსი ფლაბიანე, ეპისკოპოსი კირიონი და მთელი სამღვდელოება ჯვრითა და ხატებით წავიდნენ მადათოვის კუნძულზედ, მტკვრის პირად, სადაც გამართული იყო იორდანე. წყალ-კურთხევას დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, მთავარმართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, ტფილისის გუბერნატორი სვეჩინი და სხვანი.

⁂ კვირას, 14 იანვარს, დილის 11 საათზედ, „ქართველ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების“ შესახებ მოსალაპარაკებლად ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში კრებაა დანიშნული.

⁂ შაბათს, 6 იანვარს, ტფილისის კრუჟოკში ჩვეულებრივი ბალი გაიმართა ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის თანხის გასაძლიერებლად. ბალს დიდძალი ხალხი დაესწრო, ორივე დარბაზი კრუჟოკისა სავსე იყო. უკრავდა ორი ორკესტრი, ერთი სამხედრო და ერთი რუმინელთა, დიასახლისად ჰბრძანდებოდა ქნი მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა. საუცხოვო იყო ლეკური ზურნაზედ. ბალმა საზოგადოდ მხიარულად ჩაიარა. კოტილიონი დილის მეშვიდე საათზედ დაბოლოვდა და მხოლოდ მაშინ დაიშალა სრულიად საზოგადოება.

⁂ 4 იანვარს, ბათუმში, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ადგილობრივ სკოლის სასარგებლოდ გამართული იქმნება ჩვეულებრივი ქართული საღამო.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა დააწესოს ორი თანამდებობა ქალაქის სასწავლებელთა მკურნალისა. თვითო მკურნალს წელიწადში 1,200 მანეთი მიეცემა. გამგეობამ გადასწყვიტა დააწესოს აგრეთვე ფერშლის ორი თანამდებობა.

⁂ საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის არსდება საპედაგოგიო კურსები ტფილისის სასულიერო სემინარიასთან.

⁂ ტფილისში სახლების ამშენებელი არტელი არსდება. წესდება უკვე წარუდგენიათ მთავრობისათვის დასამტკიცებლად.

⁂ როგორც ვუწყით, აზრადა აქვთ ბათუმისა და ართვინის ოლქები ცალკე გუბერნიად გადააკეთონ. კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიას უკვე შეუმუშავებია ახალის გუბერნიის დებულებისა და შტატის პროექტი. პროექტი ახლო მომავალში წარედგინება განსახილველად უმაღლეს მთავრობას.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოსთვის გამომძიებელს უკვე გადაუცია საქმე გრაკალის სადგურის უფროსის თანაშემწის იოსებ კეზელისა, კონდუქტორის იუდინისა და მეისრის ნესტორ ტაბიძისა, რომელნიც მატარებელთა შეჯახების დროს მომხდარ უბედურებისა გამო პასუხის-გებაში არიან მიცემულნი.

⁂ ერევნის რკინის გზის შტოს კეთება მალე დამთავრდება. მომავალ სექტემბრისათვის დაიწყება ამ შტოზედ სამუშაო მატარებელთა მიმოსვლა.

⁂ როგორც „კვალი“ ატყობინებს, ოდესის ნავთ-სადგურში ამჟამად სამასამდე ქართველი მუშა მუშაობს თურმე. ზაფხულობით ეს რიცხვი ერთი-ორად დიდდება ხოლმე.

⁂ ნება დაურთავთ ქუთაისსა და ბათუმში დააარსონ მე-3 ხარისხის დედათა კერძო სასწავლებლები.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს შეუტყვია, სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩ I ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“ ახალსენაკიდგან ატყობინებენ, ადგილობრივ სასულიერო სასწავლებელს შეუძენია საკუთარი შენობა: სამღვდელოებას უყიდნია მკურნალის კახიანის ქვითკირის სახლი 18 ათას მანეთად, სადაც 7 იანვრიდგან გადავა სასულიერო სასწავლებელი.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქს მიუცია შინაურ მასწავლებელთა წოდების მოწმობანი ქ-ნ ნ. ი. მაჭავარიანისა და ნ. ი. გვარამაძისათვის.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის სამსახურის თანაშემწე მ. ა. კარპოვი გადაყვანილ იქმნა ახალს თანამდებობაზედ კავკაზ-როსტოვის რკინის გზაზედ, სადაც გაემგზავრება 1-ლ თებერვალს. („ახ. მიმ.“)

⁂ ხონის სახელოსნო სკოლის სასწავლებელში დაწესებულ იქმნა სწავლის ფული წლიურად 12 მან., ხოლო ამ სკოლასთან არსებულ პირველ-დაწყებითი სასწავლებლის მოსწავლეებზედ 10 მან., იმ პირობით-კი, რომ საწერი და სახაზავი ნივთები სასწავლებლიდგან ეძლიოს მოსწავლეთ.

⁂ 5 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად საქმე თავ. ალექსანდრე ციციშვილისა, რომელსაც „ედემის“ ბაღის (ვერაზეა) პატრონის ბესარიონ ბაქრაძის დაჭრა ჰბრალდება.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს ზუგდიდიდგან ატყობინებენ, 1-ლ იანვარს პოლიციის დარაჯის უფროს ურიადნიკს გოგოლიშვილსა და პოლიციის მოხელეთ: ჩიქოვანსა და ჟვიქიას ს. ქვალონში მოუკლავთ ყაჩაღი, ციმბირიდგან გამოქცეული ჯუჯუ გვათუა, რომელსაც კაცის მოკვლა, გაცარცვა და ქურდობა ჰბრალდება.

⁂ როგორც ამავე გაზეთს სამურზაყანოდგან ატყობინებენ, ციმბირიდგან გამოქცეული ყაჩაღები დათარეშობენ და ძარცვა-გლეჯით იკლებენ თურმე მცხოვრებლებს. დეკემბერში პოლიციის დარაჯთ მოუკლავთ ორი ყაჩაღი ბ. მარღანია და გიო ქობალია, რომელსაც თავის მხრივ მოუკლავს ურიადნიკი თავ. ჩქოტუა და ერთი დარაჯი. ყველაზედ უფრო თავ-გასულნი არიან: ძმანი კოსტა და ნიკო მარღანია და ემუხვარი. საშობაოდ სამურზაყანოში მოსულა სოხუმის ოლქის უფროსი და მოუთხოვნია ყაჩაღები, ხოლო ის კაცნი, რომელთაც ამ ყაჩაღების დამალვა ჰბრალდებათ, სოხუმის საპატიმროში გაუგზავნია.

ხმა გორიდგან.

კიდევ გორი!.. იქნება გეგონოთ, ფერი იცვალა გორმა? სრულიადაც არა. იგი ისევ ის გორია, ძველებური, მყუდრო, ჩუმი; აქ არაფერს მოძრაობა არ ეტყობა, მამაცობა, რომელიც სიცოცხლეს ახასიათებს... მინდა ვსთქვა რამე გორზედ, მაგრამ რა, არ ვიცი?! კარგს ვერას ვიტყვი, ხოლო ავი ძალიანა სწყენს ზოგიერთს აქაურს კოხტა-პრუწა ვაჟბატონსა. მაშ ისევ პოეტის სიტყვებით მივმართავ, რომ რისხვა როგორმე ავიცილო:

„ჩემზედ ამბობენ: ის სიავეს გორისას ამბობს;
ჩვენს ცუდს არ ჰმალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია,
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული-კი მაშინვე სცნობს,
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“.

შეიძლება გორი ზღაპრად თქმულს „მძინარეთა სამეფოს“ შევადაროთ. დალოცვილს ძილს, სადაც ვისთვის მოუსწვრია, ყველა იმ ადგილს გაუშეშებია. ასე გასინჯეთ, ტალახიც-კი თავისს ადგილს არის შერჩენილი!

ზოგიერთა მივარდნილს სოფელს, სადაც აბუჩად აგდებულ მასწავლებლისა და მღვდლის მეტი არ მოიპოვება, უფრო იცნობს მკითხველი საზოგადოება, ვიდრე გორისას, სადაც, სხვები რომ არა ვთქვათ, მასწავლებლები მაინც ბლომად არიან, რომელთაც თავისუფალი დროც ბევრი აქვთ და ცოდნაც შესწევთ. რა იქნება, რომ, თუ ხშირად არა, თვეში ერთხელ მაინც ამცნონ ქვეყანას გორელების „საქმენი საგმიროანი“, კარგს კარგი უწოდონ, ავს ავი და ცოტა ოდნად ყურებიდგან ბამბა გამოუღონ გორელებს, ძილისაგან დასიებულს თვალებს მალამო რამ მოაცხონ... მაგრამ გორი ხომ გორი აღარ იქნება, რომ ყოველივე თავისებურად არ ესმოდეს. აი, მაგალითად, მე ვიცნობ ერთს აქაურს „შეგნებულს სტუდენტს სემინარიისას“, რომელიც ახალგაზდობას უქადაგებს, რომ გაზეთში წერილების გზავნა, ან რომელისამე ცნობილის მწერლის ნაწარმოების თარგმნა ტყუილად მოცდენაა... გორელს რომ ჰკითხოთ: რას იქმოდით, რას საქმობდითო, კრიალოსნის კილოზედ გიპასუხებთ: „ვსვამდი, ვჭამდი და მეძინაო“. დავძენ, რომ მას დღესაცა სძინავს.

საკვირველია, რომ გორში ცირკის გარდა არავითარი სხვა დაწესებულება არა ხეირობს. რომელი მეცირკეც-კი ერთხელ ყოფილა აქ, ის თითქმის სამუდამოდ გორელი ხდება. ამბობენ: ფუტკარი თაფლს სდევსო; ჩანს გორსაც ასეთივე ნათესავობა ჰქონია ცირკთან. ეხლაც ამ უქმე დღეებში, გორელების გამრთობი ბ-ნი მაკაროვის ცირკია. წარმოდგენებისა და კონცერტების ხსენება-კი მიუწვდომლად სანატრელად გაგვხდომია. მაგრამ საიდგან, როდესაც ვინც-კი ერთხელ სცადა ბედი, თავი ყველას საწყევლი გაუხდა, გორელებმა ზედ არ შეჰხედეს... ნეტავი, ახალი საუკუნისა მაინც არის დაარცხვინან, მაგრამ რა?..

ახალ წელიწადს დღეს გორის „გუდა-ბაღში“ შევიარე და, თითქოს განგებო, ბარათი ვიპოვნე, რომელშიაც ეწერა:

ჩვენი გორი! ჩვენი გორი!
ძლიერ უყვარს თურმე ჭორი!
ყველაფერში ზარმაცია,
არავინ ჰყავს ძილში სწორი.
ქართლში იგი განთქმულია,
ხოლო იმერეთში ხონი;
აქაც, იქაც ვაჭრებს თურმე
არ ეტევათ ტყავში ქონი.
ბლომად იციან ხრიკები,
თუ კი ჰნახეს თხელი ფონი..
ერთხელ „ქართლის მეთაური“
უძრავია როგორც მორი;
იგი ძველ გზას არ გადუხვევს,
გინდა ურტყა ზურგზედ ჰყორი.
ჩვენი გორი! ჩვენი გორი!
ძლიერ უყვარს თურმე ჭორი!
ყველაფერში ზარმაცია,
არა ვინ ჰყავს ძილში სწორი.

ვანო გიუნაშვილი.

გუჯარი საქართველოს მეფის გიორგი III, 1170 წ.

ყველა ერს და მოდგმას აქვს ისრეთი სიძველეთა ნაშთნი, რომლებიც სარკესავით თვალ-წინ აყენებენ წარსულს ცხოვრებასა და თავგადასავალსა. იგინი მოიგონებენ მამაპაპათა მწუხარებით სავსე განვლილს ყოფნასა და ამიტომ იგი ნაშთნი საყვარელნი და ძვირფასნი არიან შთამომავლობისათვის. რავდენადაც ერი სულიერად მაგარის აგებულობისა ყოფილა, იმდენად უფრო ჰყვარებია მამაპაპის ცხოვრების მომგონებელნი ნაშთნი და იმდენადვე უფრო მედგრად უბრძოლნია მათის დაცვისა და ხელუხლებლობისათვის. ესრეთი ნაშთნი მრავალგვარნი არიან და იგინი თითქოს ერთმანეთს ეცილებიან წარსულის ცხოვრების უკეთესად დახასიათების საქმეში და ერთად-კი წარმოადგენენ საერთო კრებულს, საერთო სარკეს, რომელშიაც ისტორიული ცხოვრება ამა, თუ იმ ერისა თვალით სანახავი, ყურით სასმენელი და გულით საგრძნობელი ხდება ყველასათვის.

რამდენიმე თვეა ხელში ჩამივარდა ხსენებული გუჯარი, რომლის შინაარსი ბევრს სასიამოვნო საქმეებს აქეშმარიტებს და დღემდე ზოგიერთთაგან საეჭვოთ დადებულს ისტორიულს ამბავს უეჭველ ჰყოფს.

მეტად სასიამოვნოა, რომ დღემდე აბუჩად აგდებული ზოგიერთთა მეცნიერების სუნ-მიდენილთაგან ჩვენი მატიანე ქართლის ცხოვრება და სხ. ისტორიულნი საბუთნი მოწმდებიან ამა გუჯრით და მათში მოხსენებულნი სახელოვანნი პირნი საარაკოდ მოგონილნი-კი არ არიან, არამედ ნამდვილნი მამულის შვილნი, თავდადებულნი და მრავლად ქირნახულნი სამშობლო მიწა-წყლისა და სარწმუნოების დაცვისათვის. ჩვენ ფიქრადაც არა გვაქვს გავაზვიადოთ და მეტი მნიშვნელობა მივაჩემოთ ამა თუ იმ ისტორიულს წყაროს. პირიქით, დიდის სიფრთხილით ვეკიდებით ჩვენის რაიმე მოსაზრების წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთქმასა და ვერიდებით უსაბუთოდ რომელიმე მსჯარის დადებასა. ამას მკითხველი ეხლავე დაინახავს.

პირველად მივაქცევთ მკითხველთა ყურადღებასა ერთს ფრიად თავ მოსაწონს თვისებას ქართველის ერისას. ჩვენ მეზობელ და სხვა ხალხთა მიწაწყლის ეხლანდელი გეოგრაფიული რუკა რომ ოდნავაც არ ემსგავსება ათასის წლის წინანდელსა, ე. ი. სახელ წოდებანი—ქალაქთა, სოფელთა, ციხე-სიმაგრეთა, ველ-მინდორთა, ხეობათა და მთა-გორათა, რომ ათასის წლის განმავალობაში ან სრულიად ამოფხვრილან და ან საშინლად დამახინჯებულან,—ჩვენი სამშობლოს გეოგრაფიული რუკა დღემდე უცვლელია უფრო ძველის დროდგან. ასე გასინჯეთ, რომელსამე ნაჭერს ორიოდე დღის სახნავს მიწას რომელსამე სოფელში ათასის წლის წინათ საკუთარი სახელი აქვს და იგი დღემდე შერჩენია. ერთხელ დარქმეული სახელი ქალაქისა, სოფლისა, მდინარისა და სხ. ქართველ ერს არ შეუცვლია და მამა-პაპათაგან ნაანდერძევი, თავის სისხლით გაპოხიერებული გარდმოუცია შთამომავლობისათვის. მიზეზი ამ სახელთა დაცვისა მამულის სიყვარულს გარდა ისიც იყო, რომ ქართველი ერი განსაკუთრებულის ნიჭით, ზედგამოჭრილობით და შეფერებით—ჰქმნიდა მაგ სახელებსა და ეგრეთი შეფერებული, ზედგამოჭრილის სახელის უკეთესად შეცვლას შთამომავლობა ვერ ახერხებდა. ამ ჩვენს ნათქვამს ბევრი საბუთი აქვს და მათში ჩვენი ქვემორე დაბეჭდილი გუჯარიც.

„მძლეთა-მძლე“ გვირგვინოსანი მეფე გიორგი მესამე (1156 - 1184 წ.) მეთოთხმეტესა ინდიკტიონსა (1156 +14=)1170 წ. თავისი პირით გვიამბობს გუჯარში, რომ მამაჩემი დიმიტრი მეფე იყოვო, პაპა დავითიო. ქართლის ცხოვრებაც ხომ ამას გვეუბნება და სხვას არაფერს. შიომღვიმის ლავრის წინამძღვარი იოანე არქიმანდრიტი რამდენიმე ბერ-მონაზონით ჰხლებია მეფე გიორგის და უთხოვნიათ ჩვეულებისამებრ—ჩვენი მონასტრის უძრავ-მოძრავი ქონება, რისაც დღეს მქონებელნი ვართ, დაგვიმტკიცეო. ამიტომ მიურთმევიათ ძველ შეწირულობათა და ნასყიდობათა სიგელნი გასასინჯად. 1800 წლამდე ჩვეულება იყო საქართველოში, რა ხნისაც უნდა ყოფილიყო მამულ-დედულის სიგელი, ახლად ტახტზედ ასულ მეფეს მიუტანდნენ და ხელს მოაწერინებდნენ—დაამტკიცებინებდნენ. მაგრამ რაკი იოანე წინამძღვარს მეტად ბევრი სიგელები მიუტანია და ყველაზედ თვითოეულად ხელის-მოწერა-დამტკიცება შორს წავიდოდა, ამიტომ მეფეს ერთიან ტყავის გადაკერებულს გრაგნილზედ დაუწერია თავის კარის მწიგნობრის დანგა ბრუტის ძის ხელით და ჩამოუთვლია ყველა ძველი შეწირულებანი და ნასყიდობანი და „ძველნი სიგელნი სიგლითა თვისითა გაუახლებია და დაუმტკიცებია ბრძანებაი და სიგელი პაპათა და მამათა თვისთა“. ა) 1123 წ. მეფე დავით აღმაშენებელმა, ჩვენი გუჯრის მეფე გიორგის პაპამ, შეადგინა ანდერძი, რომლითაც გაათავისუფლა შიომღვიმის უდაბნო ყოვლის ხარკისაგან და მიანიჭა თვით-გამგეობა, ე. ი. წინამძღვარი მამათა კრებით განაგებდა სამონასტრო საქმეებსა და თავის მოქმედების ანგარიშს არავის აძლევდა, თვით მცხეთის კათალიკოზსაც არ ეკითხებოდნენ. ამისთანა მონასტრებს დღეს რუსეთში სტავროპიგია ეწოდებათ. აი ამ ანდერძს მეფე დავითისას და შიგ ჩამოთვლილ წყალობათა ასე მოიხსენიებს—„ეგრეცა იყოს ვითა თვით პაპისა ჩუენისა ანდერძსა სწერიათ“. ბ) შიომღვიმელის თანამედროვე იყო (VI საუკ.) მთავარი ციხე დიდისა წმ. ევაგრე, რომელსაც სოფლები სხალტბაი და გორთვანი უყიდნია და შეუწირავს შიო მღვიმისათვის. წმ. შიოს ცხოვრებიდგან ჩვენ ვიცით, რომ წმ. შიოს სიწმიდით ცხოვრების ნადირობის დროს მნახველი ევაგრე ბერად შედგა და დაემოწაფა წმ. შიოს (იხ. ქ.ცხ. 154 გვ.). ამისთვის გიორგი მეფე ამბობს; „სოფელი სხალტბა და მათი კერძი გოროვანი დღესაც ასე იწოდებიან და გადმოჰყურებენ მაღლიდგან წეროვნის მინდორს—ქსნის და არაგვის ხეობებს და მდებარეობენ შიო მღვიმიდამ ოთხს ვერსტ მანძილზედ ჩრდილოეთით.

გ) ჯოჯიკ ტაოელს მთავარს ქართლისას უყიდნია ს. რუეთი და შეუწირავს. ჯოჯიკი სცხოვრებდა X საუკუნეში და ისტორიით ცნობილია ერთად თორნიკე ერისთავთან სახელოვან მეომრად ბარდასკლეროსის წინააღმდეგ (980—984 წ.) დიდის დავით კურაპალატის ბრძანებით. მისი შვილი ფერისა სხვებთან ერთად აუჯანყდა (1014—1018 წ.) ბასილ იმპერატორს, მაგრამ უკანასკნელმა ხელთ იგდო და თავი მოჰკვეთა (იხ. ქ. ცხ. 215 გვ.) ჯოჯიკ ფერისზედ, იხ. ცხოვრება ათონელთა მამათა—290 გვ.

დ) შიოსუბანი (ს. მუხრანის ნაწილია დღეს და ასე იწოდება დღესაც) ბერების ნასყიდი და შეწირული.

ე) „ქ. ჩიქუნური რუსისა ნასყიდი და შემოწირული“. ვინ არის რუსი—რუსა არ ვიცით. ვიტყვი მხოლოდ, რომ დიდად სცდებიან, ვინც ამ სახელს (რუსა) ანუ რუსუდანს აწარმოებენ წოდებიდგან რუსი= русскій. რუსა საკუთარი სახელი იყო საქართველოში ძველადგანვე, მაგ. ცნობილია რუსა ცოლი ქუცნა ამირეჯიბისა (1350—1375 წ.), ბებია ალექსანდრე მეფისა. სახელი რუსუდან წინადაც გვხვდება: დავით აღმაშენებლის ძეს მეფე დიმიტრის ჰყვანდა ორი ძე და ერთი ასული —რუსუდან, რომელიც მისთხოვდა ოვსთა მთავარსა და მის მეცადინეობით იქმნა აღრჩეულ დავით სოსლანი თამარის მეორე ქმრად (იხ. ქ. ცხ. 264,291 გვ. და ქრონ. II ჟორდან. 145 გვ.). ჩიქუნური ჩვენ ეხლანდელი ნასოფლარი ჩანგილარი გვგონია, ს. ალაიანის ზემოდ, მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზედ.

ვ) ვინ არის გოგრაჰი, არ ვიცით.

ზ) „ივანწმიდაი ძუელადვე გოდერძისა შემოწირული; დათო კვირიკე კახთა მეფისაგან შემოწირული“. კახთა მეფე კვირიკე და ერისთავთ ერისთავი გოდერძი X საუკ. სცხოვრობდნენ (იხ. ქ. ცხ. 203—224 გვერდი).

თ) „თრიალეთს ბზჳთაი ადარნასესგან ნასყიდი და შემოწირული, მანგლის ხევს ბორცჳს ჯუარი ძუელადვე მღვიმისაი ლიპარიტეთგან წაღებული“. ადარნასეს მეფე, ძე დავითისა, მეფობდა IX საუკ. დამლევს და † 923 წ. (ქ. ცხ. 197 გვ.) ბორცვის ჯუარი და მთელი სომხეთი ლიპარიტ ორბელიანმა მართლა მიითვისა, აუჯანყდა მეფე ბაგრატ IV და † საბერძნეთში, საიდგანაც მოასვენეს მისი გვამი და კაცხის ტაძარში დაასაფლავეს. ბორცვის ჯუარი დავით აღმაშენებელმა ისევ დაუბრუნა შიომღვიმის ლავრას თავის ანდერძით.

ფავნელთა და ტბელთაგან შიომღვიმის ბერებს უყიდნიათ გლეხნი ს. ს. ცხირეთ-ცხვავერში და გავაზელნი. ამა ნასყიდობის გუჯარი იხ. 909—941 წ. ქრონიკ. I. ჟორდან. 88 გვერ.

ქართლის ერისთავს რატის სურამელს შეუწირავს კობალაი XI საუკ. გასულს. მას ჰყვანდა შვილი სულა. იხ. ქრონიკ. I, ჟორდან. 266 გვ.

ნიზბისი, სასხორი მასვე რატს შეუწირავს.

ქ. ტფილისში შიომღვიმის ლავრას ჰქონია ხუთი ქულბაქი (დუქანი) და მისი ქირით-შემოსავლით უსარგებლნია სპარსთა დროთგანვე, ე. ი. მეშვიდე საუკუნის ნახევრიდგან; ოთხი ქულბაქიც მას შემდეგ უყიდნია ლავრას, ყველა ამისი სიგლები დაუმტკიცებია მეფე გიორგის.

მეფე გიორგი ამტკიცებს, რომ მისს პაპას (მეფე დავით აღმაშენებელს) აღუშენებია შიომღვიმის ტაძარი, რაც მოხსენებულია დავით მეფის ანდერძში. გუჯარი გვამცნებს მრავალ ცნობებს სამეფო ოჯახის შინაურული წეს-წყობილებისას, როგორნიც მოთავსებულია მეფე ვახტანგ VI დასტურლამაში. ბოლო წარწერა „ქ. მტკიცე არს ნებითა ღუთისაითა“ თვით გიორგი მეფის ხელით არის მიწერილი. გუჯარი შესდგება ხუთის ტყავისაგან, რომელნიც ერთმანეთზედ გადაკერებულ არიან აბრეშუმის ძაფით; სიგანე აქვს ხუთი გოჯი, ხოლო სიგრძე სამი არშინი და თერთმეტი გოჯი. სულ ას ჩვიდმეტი სტრიქონია და ერთ გვერდზედ არის მოთავსებული. მეფის ხელ-მოწერილი სტრიქონი ას მეთვრამეტეა.

აი თვით გუჯარი, ჩემ მიერ გადმოწერილი უმეტნაკლებოდ:

მღ. პ. კარბელაშვილი

(დასასრული იქნება).

◆◆

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. „Daily Express“-ის სიტყვით, ბურები ამ ჟამად კაპის ახალშენში ოთხის წლის წინად შედგენილ გეგმისა თანახმად თურმე მოქმედებენ. ეს გეგმა ერთმა უცხოელმა აფიცერმა თურმე შეუდგინა იმ შემთხვევისათვის, თუ რომ ინგლისელები ბურებსა სძლევდნენ. აღნიშნულის გეგმით ორს მესამედს ბურებისას მდიდარს კაპის ახალშენში უნდა ემოქმედნა, სადაც ცხენები, სურსათი, საკვები და საომარი სამზადისი შედარებით მრავალია, ვიდრე ორანჟესა და ტრანსვაალის რესპუბლიკაში და მტრის შესახებ აქედგან ცნობების შეკრებაც გაცილებით ადვილია, ვიდრე ორანჟეს მდინარის გაღმა მხრიდგან. ბურებს თავდაპირველად ზღვის პირად მდებარე რკინის გზის ლიანდაგი უნდა დაენგრიათ, რომ ამ რიგად ინგლისის მხედრობას სურსათი ვეღარ მიეღო. მაშინ ჯარები დამორჩილებულ რესპუბლიკებიდგან საჩქაროდ კაპის ახალშენში გაიგზავნებოდნენ და ბურების სარდლებს საშუალება მიეცემოდათ პრეტორია უკანვე დაებრუნებინათ და მდინარე ვაალის ჩრდილოეთით მეოთხე ინგლისის ჯარიც ადვილად დაემარცხებინათ. გარდა ამისა, გაზეთი ამტკიცებს, რომ ბოტასა და დევეტს ამ ბოლო დროს ერთმანერთი უნახავთ და სამოქმედოდ დევეტს სამხრეთი ნაწილი ამოურჩევია, ხოლო ბოტას ჩრდილო ნაწილი. აქედგან ნათლად სჩანს, რომ ინგლისელების საქმე ბევრად გაძნელებულია, ვიდრე ამას კიტჩენერი იუწყებაო.

— როგორც „Central Nevs“ იუწყება ბრიუსელიდგან, კრიუგერი იტალიელს პოლკოვნიკს რიკკარდის შტეინთან თურმე ჰგზავნის და რადაც საყურადღებო საიდუმლო დავალებას ატანს. რიკკარდი დაუყოვნებლივ ლორენცო-მარკეზში წავაო. ამავე გაზეთის სიტყვით, ბოტას ამ ჟამად 8 ათასი კაცი თურმე ჰყავს.

— როგორც „რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ კაპშტადტიგან, ინგლისელებს ამ ჟამად 15,182 ბური თურმე ჰყავთ ტყვედ წაყვანილი. სხვა წყაროებიდგან იუწყებიან, ბურებს ზარბაზნები ჯერ ბლომად აქვთ, მაგრამ არა ხმარობენ, რადგანაც მათი თან ტარება ჯარის სწრაფად მოძრაობას დიდად აბრკოლებსო.

— ლონდონიდგან იუწყებიან: კიტჩენერი იტყობინება დეპეშით, რომ სამი წევრი კომიტეტისა, რომელიც პრეტორიაში შესდგა იმ აზრით, რომ ბურებისათვის ინგლისის მორჩილება ერჩიათ, დევეტს ხელში ჩაჰვარდნია და გაულახვიანებიათ. გაზეთი „Times“ ამის გამო დიდად ცხარობს და ამბობს, რომ დევეტს, რომელიც ცნობილია თავისის ჰუმანიურის მოქმედებით, ასეთი საქციელი არ შეჰშვენისო. მაგრამ არ იკითხავთ ახლა, ვინ იყვნენ ეს ვაჟბატონები და რას უქადაგებდნენ ხალხსა? კომიტეტი, რომლის წევრებადაც იგინი ითვლებოდნენ, აცხადებს:

„მთელი მხარე უდაბნოდ გადიქცა. ფერმების პატრონები იძულებულნი არიან მფარველობა ქალაქებსა და ინგლისელთა ბანაკებში ეძიონ, რომლებიც მშვიდობიან ბურებისა და მათის ოჯახობისათვის ინგლისელებმა დამართეს. ფერმების პატრონებმა ყოვლივე დაკარგეს, გაღატაკდნენ, შიმშილი და მათხოვრობა და მოელით. ყოვლივე ეს უმცირესობის წყალობით მოუვიდა უმრავლესობას, პირველნი არა ჰმორჩილდებიან, მეორენი მათ გამო იტანჯებიან. ვინც მებრძოლს ბურებს დაეხმარება, ან წააქეზებს, მხოლოდ ტანჯვასა და უბედურებას გაუორკეცებს მოძმეთ.

ინგლისმა უკვე გადაჭრით გამოაცხადა, რომ ბურების რესპუბლიკების დამოუკიდებლობა აღარას გზით აღდგენილი არ იქმნება. მაშ ნუ დავივიწყებთ ამასა და მშვიდობიანად მორიგებისათვის ვიზრუნოთ.

ამისათვის მოგმართავთ თქვენ, კაპის ახალშენის აფრიკანდერებსა, და გთხოვთ ამოირჩიოთ თქვენ შორის უფრო გავლენიანი რამდენიმე კაცი და შტეინსა და დევეტს გაუგზავნოთ, რამ დაარწმუნონ როგორმე და ინგლისის მიერ წარმოდგენილს პირობებზედ დაიყოლიონ. მშვიდობიან მორიგების ერთად-ერთს დაბრკოლებას შტეინი და დევეტი შეადგენენ. გვერწმუნეთ, რომ კრიუგერი და ტრანსვაალის ახლანდელი მთავრობა ორჯელ მზად იყვნენ ინგლისის პირობები მიეღოთ, მაგრამ შტეინი მუდამ უარზედ იდგა. იგი იბრძოდა და ბურგერებსაც საბრძოლად იწვევდა იმ იმედით, რომ ევროპა დახმარებას აღმოგვიჩენსო“.

და ასეთის მოწოდების შემდეგ ინგლისელები კიდევ დევეტს უსაყვედურებენ, მოღალატენი რად გაალახვინე და თვალები არ დაუკოცნეო. კომიტეტი 6 წევრისაგან შესდგებოდა: ფრაზერისა, პალმერისა, ტერონისა, კან-ვიკერისა, ვანტონდერისა და ადენდორფისაგან, რომელნიც ჯერ ერთი საკანონმდებლო საკრებულოს წევრებად იყვნენ და მეორე, აღმასრულებელ კომიტეტს შეადგენდნენ, ე. ი. გავლენიანი, საპატიო კაცები იყვნენ. მაგრამ ამათგანმა რომელმა მიიღო ასეთი ღირსეული ჯილდო და მადლობა დევეტისაგან, ეს ჯერ არავინ იცის.

◆◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 იანვარი

გულლი. გარდაიცვალა კიდევ ორი კაცი, გემი „ტრიარი“-დგან გადმოსული. მცოდნე კაცების აზრით, ეს ავადმყოფობა არის ფილტვების ჭირი, რომელიც უფრო საშიშია, ვიდრე შავი ჭირი.

კაპშტადტი. ბურები ორჯელ შეეცადნენ ბარტლეინსტის აღებას, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. რამდენიმე ბური მოჰკლეს თავისუფალმა მეომრებმა, რომელნიც ქალაქს იცავდნენ.

პეკინი. დღეს, ნაშუადღევს, ელჩებს გადასცეს საზავო ოქმი და იმპერატორის ბრძანება ამ ოქმის შესახებ. დღესვე ჩინეთის რწმუნებულთ გადასცეს ელჩებს იმპერატორის დეპეშა, რომელშიაც სურვილია გამოთქმული, რომ ტაკუს სიმაგრეები არ დაანგრიონ და მხოლოდ უცხოეთის ჯარები დააყენონ ამ სიმაგრეებში; აგრეთვე ის, რომ იარაღის შემოტანის აღკრძალვას ვადა დაუნიშნონ და რომ დამსჯელი ექსპედიციები მოისპოს. ამას გარდა იმპერატორი უბრძანებს თავის რწმუნებულთ, რომ წარუდგინონ ელჩებს შემდეგი კითხვები: რამდენი ადგილი უნდა დაიჭირონ საელჩოებისათვის, რამდენი კაცი იქნება დატოვებული საელჩოების დასაცველად ჯარების წაყვანის შემდეგ, რამდენი იქნება ვარაუდით საზღაური სამხედრო მოქმედებისა და, დასასრულ, როდის დაუბრუნებენ უცხოელები ჩინელებს სამმართველო დაწესებულებებს პეკინში? დამნაშავეთა დასჯას იმპერატორი არ იხსენიებს.

6 იანვარი

სტანდერტონი. კოლვილის რაზმს დაეცა 1000 ბური; ინგლისის ცხენოსანი ჯარის მოწინავე რაზმი დაეტაკა ბურებს და უკან დასწია 800 კაცი; დანარჩენი ბურები მედგრად ეცნენ ინგლისელების სურსათის ურმებს, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ მძიმე ზარალით: ერთი მოუკლეს და 15 დაუჭრეს.

კაპშტადტი. კაპის ახალშენის დასავლეთ ნაწილში შესული ბურები წინ აღარ მიდიან; გაფანტული რაზმები უკან იხევენ და დიდ რაზმს უერთდებიან. კალვინში და მიდულანდში ბურები უფრო მხნედ იქცევიან: ისინი მიდიან ვილსუმორზე. ძლიერი ბრძოლა მოხდა მურეისბურგთან 29 დეკემბერს; ინგლისელებმა დაჰკარგეს აქ 20 კაცი. ჰოლანდიელები, რიცხვით 100-მდე კაცი, შეუერთდნენ შემოსეულ ბურებს.

ლონდონი. ოფიციალური ცნობა აცხადებს, რომ რადგანაც მეტისმეტმა აღელვებულმა მდგომარეობამ მთელის წარსული წლის განმავლობაში მოუშალა დედოფალს ნერვების სისტემა, ამიტომ ექიმებმა საჭიროდ სცნეს ურჩიონ მის უდიდებულესობას მოსვენებით ბძანდებოდეს თავის ოთახებში და მოერიდოს სახელმწიფო საქმეების მართვას.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდგან: „ახალ-ზელანდიისა და ავსტრალიის ჯარებმა იერიში მიიტანეს 800 ბურზედ ვენტერსბურგიდგან რვა მილის სიშორეზედ, დასავლეთით, და სრულებით დაამარცხეს; ხუთი კაცი მოჰკლეს და ორი დასჭრეს; ბევრი ცხენი იპოვნეს უპატრონოდ; დ ძალი უნაგირები და ტყავის ნივთები დავლად აიღეს; ინგლისელების მხრივ ერთია დაჭრილი“.

ვენა „Pol. Corr.“-ი იუწყება, რომ რუმინიის მინისტრ პრეზიდენტმა სთქვა ერთ ჟურნალისტთან საუბრის დროს, რომ განხეთქილება რუმინიისა და ბოლგარიას შორის არ გადაიქცევა საერთაშორისო საქმედ და მშვიდობიანად გადასწყდებაო.

7 იანვარი

პეტერბურგი. 6 იანვარს დიდის ამბით გახსნეს ფრანგული მხატვრობის გამოფენა მხატვრობის მფარველ საიმპერატორო საზოგადოების დარბაზში. გამოფენა მხატვრობის მხრივ დიდად საინტერესოა; ექსპონატების რიცხვი 437 ადის.

6 იანვარს საზამთრო სასახლის დიდი საკრებულო ტაძრიდგან სამღვდელოება ლიტანიით წავიდა წყლის საკურთხებლად იორდანეზე. მწირველი ბძანდებოდა მიტროპოლიტი ანტონი.

კოუსი. დედოფალმა ღამე კარგად გაატარა. დილით უფრო კარგად გრძნობდა თავსა.

ბერლინი. „Reichs.“-მა გამოაქვეყნა სასახლის ცნობა, რომლის თანახმად, რადგანაც ინგლისის დედოფალი ავად ბრძანდება და იმპერატორი ინგლისში მიდისო, 8 და 10 იანვრისათვის დანიშნული დღესასწაულები სასახლეში გაუქმებულ იქმნაო.

ოსბორნი. ოფიციალური ბიულეტენი იუწყება, რომ დედოფალი ძალიან სუსტად არის. ასე რომ მორჩენა საეჭვოდ მიაჩნიათ.

ლონდონი. უელსის პრინცი, რომელიც სანდრიგემში აპირებდა წასვლას, ოსბორნში წავიდა.

ბერლინი. იმპერატორი საგანგებო მატარებელით მიდის ლონდონში ჰერცოგ კონნაუტთან ერთად.

ლონდონი. იუწყებიან, რომ დედოფალ ვიქტორიას თვალთ ხელახლა ძალიან დააკლდა. პროფესორი პაგენშტეხერი საიდუმლოდ დაიბარეს ვისბადენიდგან: დედოფალს შობის კვირაში მცირე სიდამბლე მოუვიდა.

ლონდონი. ცნობები დედოფლის ავადმყოფობის შესახებ ძალიან საეჭვოა. ახლო ნათესავები იკრიბებიან ავადმყოფთან.

ლონდონი. უელსის პრინცესსა წავიდა ოსბორნში; მასთან ერთად წავიდა იორკის ჰერცოგიც.

ლონდონი. ბიულლეტენი: „საღამოს 6 საათი. დედოფალი მთელი დღე საკმაოდ კარგა ბრძანდებოდა, ცოტა უკეთესობაც ეტყობა“.

საღამოს 9 საათი. მიღებული ცნობებით, დედოფალი უფრო ავად გამხდარა; ღონე-კი ეტყობა აღარ აკლდება.

ლონდონი. გვიან საღამოთი გავრცელდა სანუგეშო ხმები დედოფლის კარგად მყოფობის შესახებ, მაგრამ ეს ხმები არა მტკიცდება: პირიქით დედოფლის მდგომარეობა ისევ ისე სერიოზულია, და დიდ შიშსა ჰგვრის ყველას.

ინგლისის კრეისერმა „მინერვამ“ ბრძანება მიიღო წავიდეს ფლისსინგენში, რათა მოიყვანოს ინგლისში იმპერატორი ვილჰელმი და ჰერცოგი კონნაუტისა.

8 იანვარი

პეტერბურგი. 7 იანვარს ვარშავის რკინის გზით დაბრუნდნენ ბერლინიდგან პეტერბურგში დიდი ჰერცოგი ჰესენ-დარმშტადტისა და დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე. იმავე მატარებელით მოვიდა პეტერბურგს პრინცესა ელენე გიორგის ასული საქსენ-ალტენბურგისა, ჰერცოგინია საქსონისა.

ლონდონი. დეპეშა, ოსბორნიდგან გამოგზავნილი საღამოს 8 საათზედ: „დედოფალი უკანასკნელს დღეშიაო“.

შუაღამის ბიულლეტენში ნათქვამია: „კვირას საღამოს დედოფალი უფრო ცუდად გახდა; სისუსტე ძლიერდება; უძნელდება საჭმლის მიღება“.

კაუსიდგან ღამის 3 საათზედ გამოგზავნილი დეპეშა იუწყება: „სამეფო ოჯახის წევრნი შეიკრიბნენ დედოფლის საწოლ ოთახში; დედოფლის გარდაცვალებას ყოველ წუთს მოელიან.

ლონდონი. პრინცი უელსისა კოუსიდგან ლონდონში წავიდა გერმანიის იმპერატორის დასახვედრად.

ფლისსინგენი. იმპერატორი ვილჰელმი და კონაუტის ერცოგი აქ მოვიდნენ და ინგლისში წავიდნენ.

ლონდონი. გერმანიის იმპერატორი და ჰერცოგი კონაუტისა მოვიდნენ აქ. ჩარინგსკროსკის სადგურზედ დაჰხვდნენ პრინცი უელსისა, ჰერცოგი იორკისა და პრინცი ქრისტიანე შლეზვიგ გოლშტეინისა. იმპერატორი ბუკინგემის სასახლეში წავიდა.

პეტერბურგი. მე-7 ტირაჟი პირველ შინაგან მომგებიან სესხისა. 500 მანეთის მოგება ჰხვდა შემდეგ ბილეთებს *):

№№ ბილ. №№ სერიებისა.

1: 2088, 15054, 19828.
2: 65, 7875, 8255, 12727, 13792, 15874, 18168.
3: 4734, 9900, 10972.
4: 501, 708, 5128, 11019.
5: 781, 7761, 7841, 16736, 18249.
6: 2445, 3051, 4573, 15123, 16868.
7: 85, 11008, 12418, 16703.
8: 2057, 3607, 10501, 11266, 16552.
9: 2355, 3137, 7822, 19466.
10: 1709, 2410, 2977, 4243, 14067, 15700, 17575.
11: 10907, 12314, 12780, 13706, 17551.
12: 1800, 1841, 9037, 9802, 11228, 15609, 17687.
13: 1189, 10911.
14: 12707, 15881, 17454, 18248, 18580, 19295.
15: 4693, 5541, 9994, 14045.
16: 7, 1450, 5236, 17162, 17446.
17: 185, 3968, 7034, 7394, 14691, 15032, 16022.
18: 671, 2665, 7088, 12217, 15288, 15846.
19: 6926, 10099, 10239, 11943.
20: 334, 5785, 10525, 16037 18089.
21: 2600, 2667, 11441, 12233, 12427.
22: 3634, 3909, 7299, 17696.
23: 1255, 7520, 7597, 10320, 15812.
24: 1466, 10512, 10580, 17438.
25: 411, 1434, 4332, 5718, 11395, 12018, 15148, 18634.
26: 82, 338, 390, 5510, 7685.
27: 173, 2089, 5179, 13669, 14918, 15610.
28: 203, 2700, 9178, 10711, 17592.
30: 8719, 13884.
31: 268, 6792, 8265, 9908, 11014, 12430, 14165, 14306, 19669, 19919.
32: 938, 3167, 4581, 9219, 10679, 10896, 11374.
33: 4294, 5167, 16154, 17326, 18053, 18088, 18909.
34: 402, 883, 6863, 8666, 10259, 12082, 18229, 19299.
35: 211, 6751, 11330, 15386.
36: 2595, 4863, 8119, 11838, 13308, 14192, 14644.
37: 11079, 12450, 14017, 18047.
38: 198, 862, 3953, 4119, 9118, 14797, 17834, 18002, 18280, 18325, 18807, 19410.
39: 2345, 9488, 11370, 11477, 18188.
40: 3061.
41: 6112, 11892, 13571, 15653, 15930.
42: 4086, 9109, 9880, 17997, 16907, 17401, 18746.
43: 6357, 6677, 15345, 17772, 18112, 18779.
44: 5673.
45: 5221, 6364, 7223, 17734, 18359.
46: 2808, 5004, 6756, 9800, 13471.
47: 3300, 4122, 8185, 9916, 10325, 16991, 17749, 19011.
48: 2669, 7279, 9016.
49: 2445, 3634, 5535, 8765, 10261, 10749.
50: 268, 632, 8896, 10933, 13708, 17990, 19717.

გაუქმების ტირაჟში გამოვიდა სერიები:

4906, 8979, 5298, 3164, 8949, 14827, 19815, 18433, 367, 4609, 2402, 6938, 8811, 9838, 1258, 10969, 5342, 17770, 17553, 8385, 11886, 17482, 7719, 3962, 11023, 1445, 19643, 10092, 18975, 13520, 1415, 9572, 3779, 1336, 7768, 19270, 181, 10605, 15422, 7976, 10050, 1896, 2275, 19072, 5176, 19359, 1178, 1483, 9986, 8300, 14723, 16088, 19441, 8188, 15302, 17256, 15532, 3238, 19329, 11742, 10505, 8007, 10150, 5614, 18165, 4004, 13591, 11423, 19382, 12966, 6779, 10176, 6211, 3351, 12089, 1834, 3185, 17916, 11185, 18819, 13695, 10088, 5830, 6675, 8347, 8521, 5275, 8578, 3870, 17757, 4127, 3056, 3443, 2280, 4407, 5208, 6542, 8553, 595, 16556, 17572, 12979, 16170, 14124, 5384, 4141, 17076, 6129, 1847, 12301, 6599, 11497, 14986, 2590, 12861, 6553, 626, 12206, 17534, 4225, 4422, 582, 4696, 13079, 18116, 2869, 2986, 2519, 7781, 17787, 18511, 19016, 17693, 796, 11676, 314, 16259, 17226, 3790, 5661, 380, 1259, 18845, 11401, 14567, 18771.

◆

წერილი რედაქციის მიმართ ციმბირიდგან

გიგზავნით-რა ქ.-ქ. ვლადივოსტოკსა და ხაბაროვსკში ქართველთა სომეხთა და შორის ჩემ-მიერ შეკრებილს ფულს ოც და ცამეტს თუმანს (330 მან.), უმორჩილესადა გთხოვთ ეს ფული გაანაწილოთ შემდეგ საზოგადოებათა შორის: ა), მცხეთის ტაძრის შემკეთებელს (გამამშვენიერებელს) კომიტეტს 60 მან. ბ), ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 70 მან. გ), მომავალს ქართველ სტუდენტთა დამხმარებელს საზოგადოებას 100 მან. დ), ჩვენის სამშობლო სასულიერო (საეკკლესიო) გალობისა და საერო სამშობლო მუსიკის შესწავლა აღდგენისათვის მომავალს საზოგადოებას 100 მან. აი სიაც შემომწირველთა, რომელსაც გიგზავნით: მღ. სოლომონ იმერლიშვილმა 10 მან., აზნაურმა ედიშერ გარსევანის ძე გომართელმა 30 მან., სერგო გრძელოვმა 15 მან., ალექსი ახშარუმოვმა 25 მან., იოსებ საჩინოს ძე გომართელმა 50 მან., გიორგი ალექსანდრეს ძე მგალობლიშვილმა 25 მან., მელიტონ ჯანყელმა 10 მან., სფირიდონ ნიჟარაძემ 5 მან., ალექსანდრე შალამბერიძემ 20 მან., მიხეილ ნიკოლოზის ძე აკიმოვმა 5 მან., გაბრიელ ელიევმა 10 მან., კონსტანტინე ვასილის ძე ქელბაქიანმა 40 მან., სიმონ კალანდარიშვილმა 5 მან., მიხაკა შაბაგულოვმა 40 მან., დათიკო მოდებაძემ 20 მან., ინჟენერმა ივანე სედრაკის ძე ბაგინოვმა 10 მან., ელენე სიმონის ასულმა ბაგინოვისამ 10 მან., ალექსანდრე სოლომონის ძე იმერლიშვილმა 50 კაპ. და ეკატერინე სოლომონის ასულმა იმერლიშვილმა 50 კაპ., შემომწირველთ ულრმესს მადლობას ვუძღვნი.

მღ. სოლომონ იმერლიშვილი

◆

წერილი რედაქციის მიმართ.

ამასთანავე გიგზავნით 47 მანეთს, შეკრებილს ქ. ბათომში. ეს ფული ფილიმონ ქორიძეს უნდა გადაეცეს სახალხო სიმღერების შესაკრებად და გამოსაცემად. გიგზავნით ამასთანავე შემომწირველთა სიასაც*).

ნიკოლოზ დუმბაძე.

◆

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები.:

9 იანვარს:

სოლომონ კომეშავიძისა, რომელსაც ქურდობა ჰბრალდება.

კესარია გრიგოლაიასი, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1656 მუხლში აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

ლევან ჯალაღონიასი, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1454 მუხლში აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

ნიკოლოზ მაღლაკელიძისა, რომელსაც სასჯელთა დებ. მე-1525 და 1526 მუხ. აღნიშნული დანაშაულობათა ჩადენის ბრალი ედება.

13 იანვარს:

სამსონ გურეშიძისა, კაცის მკვლელობა ჰბრალდება.

ვასილ პილიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

დიმიტრი მურადხალაშვილისა, რომელსაც სააქციზო წესდების დარღვევის ბრალი ედება.

მიხეილ ონიალისა, რომელსაც კაცის დაჭრა ჰბრალდება.

საშახ თორმაიასი, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

ანტონ ქიტუაშვილისა, რომელსაც კაცის ხანჯლით დაჭრა ჰბრალდება;

ერმილე კოჩიაშვილისა, რომელსაც ჩუმად არყის გამოხდის ბრალი ედება.

16 იანვარს:

ტაკვია ცვიებაიასი, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.

დიმიტრი გვახარიასი, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.

ლუკა მაისურაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1480 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

სტეფანე ნიკოლაიშვილისა, რომელსაც სიყალბის ჩადენა ჰბრალდება.

20 იანვარს:

ალექსი გულიტაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.

მიხეილ აბაზაძისა, გიორგი თათულაშვილისა, ლაზარე ჩლაჩეიშვილისა და ივანე დათუნაიშვილისა, რომელთაც ქურდობა ჰბრალდებათ.

◆

განცხადებანი

ქ. ფოთში

იყიდება

ერთ ეზოში მდებარე ორი ქვის მაღაზია და ერთი სახლი, რომელთაც წელიწადში ათასი მანეთი წმიდა შემოსავალი მოაქვთ. ზომა მიწისა 238 ოთხ-კუთხი საჟენია. ფასის შეტყობა შეიძლება ქ. ფოთს, ევგენ მიხეილის ძე გაბუნიასთან.

(3—277—2)

---

*) უმთავრესი მოგებანი დაბეჭდილია „ივერიის“ მე-3 ნომერში.

*) შემომწირველთა სია ამ ცოტა ხანში დაიბეჭდება. რედ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8-го Января 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე